# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელად: |
|---|---|---|
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება.

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, სატისოვის სახლში თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი

*Въ Тифлисъ, въ контору редакціи* «**СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ**», *при типографіи Дубелира* (**Г. Церетели и К°**

№ 12 შაბათი IV 15 15 ივლისი, 1871 წ.

### შინაარსი

ოფიციალური ნაწილი: —განცხადება თფილისის გუბერნიის სამმართველოსაგან.— არა ოფიციალური ნაწილი: —სოფლის მუშაობის კალენდარი, მარტი, აპრილი. – რა უნდა მივბაძოთ გერმანიელებს მეურნეობაში.—ყრმის აღზრდაზე. – ამხანაგობა ყოველთვის კარგია.

## ოფიციალური ნაწილი

### ОБЪЯВЛЕНІЕ

*Отъ Тифлисскаго Губернскаго Правленія.*

Въ слѣдствіе Циркулярнаго предписанія г. Министра финансовъ отъ 24 Апрѣля настоящаго года, за № 4759, Тифлисское Губернское Правленіе объявляетъ для всеобщаго свѣдѣнія: 1 е. что окончательный срокъ для обмѣна Государственныхъ кредитныхъ билетовъ прежнихъ образцовъ назначается, считая съ 1-го Іюля 1871 года, для всѣхъ Губерній Европейской Россіи, за исключеніемъ Мезенскаго Уѣзда Архангельской Губерніи, а также для Царства Польскаго—годовой, для жителей же Мезенскаго Уѣзда Архангельской Губерніи, для Сибирскаго, Туркестанскаго и Закавказскаго Краевъ - полутора годовой и 2е, что для ускоренія и облегченія обмѣна билетовъ прежнихъ образцовъ на новые, Губернскимъ и Уѣзднымъ Казначействамъ разрѣшается обмѣнивать на имѣющіеся у нихъ новые билеты прежнихъ образцовъ, принадлежащіе частнымъ лицамъ, нестѣсняясь притомъ п. 4. Высочайшаго указа 13 февраля 1868 года, по коему новые билеты каждаго достоинства обмѣниваются на нынѣшніе билеты лишь того же самаго достоинства, Іюля 15 дня 1871. года.

### განცხადება

ტფილისის გუბერნიის მმართებლობისგან.

უფ. ფინანსის მინისტრის ცირკულიარულ მოწერილობის გამო ამ წლის 24 აპრილიდგან, № 4759, თფილისის გუბერნიის მმართებლობა საყოველთაოდ აცხადებს: 1ლი, რომ უკანასკნელი უწინდელი სასის სახელმწიფო კრედიტნის ქაღალდების (ძველი ქაღალდის ფულის) გამოცვლის ვადა დანიშნულია ამ 1871 წლის 1-ს ივლისიდგან და წუებული ევროპის რუსეთის ყველა გუბერნიებისთვის, გარდა მეზენის უეზდისა, არხანგელის გუბერნიისა, და აგრეთვე პოლშის სამეფოსთვის—ერთი წლისა, მეზენის უეზდისა, არხანგელის გუბერნიისა, სიბირის, თურქესტანის და კავკასიის აქეთა მხრებისთვის—წლის და ნახევრისა, 2-რე, რომ ძველი ბილეთების გამოცვლის დასაჩქარებლათ ახალზე გუბერნიის და უეზდის ხაზინებს ნება ეძლევათ გამოსცვალონ რაც ახალი ბილეთები აქვთ, იმაზე ძველი ბილეთებისა, რომელნიც კერძო პირებს ეკუთვნიან, და ნუ მოერიდებიან 1868 წლის 13 თებერვალს გამოცემულის უმაღლესი უქაზის მეოთხე პუნკტსა, რომლის ძალით თითოეული ნიმუშის ახალი ბილეთი უნდა გამოცვლილიყო იმავე ღირსების ძველს ბილეთზე.

15 ივლისს 1871 წ.

## არა ოფიციალური ნაწილი.

### სოფლის მუშაობის კალენდარი.

#### მარტი.

მარტში მეოჯახემ უფრო გული მოდგინეთ უნდა მოკიდოს ხელი მუშაობას; ის მუდამ ბაღში, ბოსტანში და ყანებში უნდა იყოს. თუმცა მარტში თებერვალზე უფრო გძელი დღეებია, მაგრამ მომჯობნე მეოჯახეს მარტში იმდენი მუშაობა გაუჩნდება, რომ ვერცვე მოასწრებს.

თუ ყველა რუები არ არის შემზადებული, მარტის თვის დამდეგს უნდა ეცადო, რაც შეიძლება მალე აასრულო იმის შეკეთება, უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოათავო ხვნა ახალი თესლისთვის, ქერისა, დიკისა, ენდროსი, თამბაქოსი, სელისა, კანაფისა, და სხვებისთვის. აგრეთვე უნდა ეცადო ამ მცენარეების თესვას, სანამ მიწაში ნამი იმყოფება. იონჯის თესვა ქერთან რომ ერთ დროს იქნებოდეს, ისა სჯობია. ამ თესლისთვის ძალიან კარგი იქნება ღრმა ნოყიერი მიწები, ცოტა კირიც უნდა ჰქონდეს ურეული. მაგალითად ტფილისს გარემო ნიადაგები ძალიან კარგია იონჯის და ქერის მოსავლისათ, დესეტინაზე ფუთ ნახევარი თესლი იონჯისა უნდება. ტფილისის გუბერნიის მთაგორიანს ნაწილებში მშვენიერს ბალახს იძლევა; მოიწყვა ათ წლიწადს მაინც არ დასჭირდება. მხოლოდ პირველს ორ წლიწადს და უკანასკნელს ორსა მაგდენი არა მოვარა.

ენდროსთვის ამოარჩევენ ღრმა, მდიდარს, და კარგად დაფხვნილს გასუქებულს მიწას, რომელშიაც კირი ურევია; ერთ დესეტინაზე სამ-ფუთ ნახევარი თესლი უნდება და მარებით რომ დაირგოს ას-ოთხმოცი ათასი მარი მოუნდება. მარტშივე მოსთხრიან მწიფე ენდროს მირებს. ხათვრანგეჯში დათესვის შემდეგ მესამე წლიწადს ამოსთხრიან ენდროს მირებს, კუბაში და დერბენტში კი მეოთხე და მეხუთე წელს. თამბაქო ჯერ სათესლე კვლებზე უნდა დაითესოს, მერე კი ყანაში უნდა გადირგოს ჩამორიგებით. ამ დღიურზე საკმაოა სამი საჟენის სიგრძე კვალზე რაც თამბაქო ამოვა, და ამდენს მიწას კი სამი მისხალი თამბაქოს თესლი ეყოფა.

* * *

ბოსტნებში მარტის თვეში გაათავებენ მიწის გასუქებას და შემუშავებას და სთესენ უმეტეს ნაწილს ბოსტნეულს, გარდა ლობიოსი და სხვისა, რომელთაც ოდნა დილის ყინვა სულ დასწვავს (დაოსწვას) დაშენიან კართობილის და აგრეთვე წარსული წლის მცენარის ფესვებს, რომელთაც თესლი უნდა გამოსცენ, მაგალითად: სხვა-და-სხვა გვარი კაპუსტა, თალგამი, ჭარხალი, სტაფილო, ხახვი, კამა და სხვ.

სათუთს თესლს, რომელსაც დილის ყინვის ეშინია, კარგი იქნება, რომ თივა დააფარონ.

ამ მცენარეებს ჯერ სახამთრო შენობებში უვლიან კარგს ამინდში უნდა ჩამოხსნა ჩარჩოები და ფანჯრები ამ შენობების და თუ ძალიან აჭერს მზე მაშინ ამ ჩარჩოებს და ფანჯრებს ნამჯებს ან ჭილოფებს მიაფარებენ. ამ სახამთრო შენობიდგან როცა კარგა მალი გაიზრდება, გადარგავენ კვლებზე მცენარეებს, მაგალითად თავ-ჩახვეულს კაპუსტას და სხვ.

ბაღში რგვენ ხეებს და ჯაგებს ფესვებიანად, ნამყენებს რგვენ, ხეებს გასხვლენ და გაწმენდენ, აგრეთვე გადარგვადა გადამყნაც იქავე იციან.

როცა ხეს ამოთხრიან, უნდა ეცადონ, რომ რაც შეიძლება ბევრი ფესვები მთლად ამოატანონ. გადასარგავი ხე პირველად უნდა გასხლა, ტოტები დასჭრა, თორემ რაც ფესვები შერჩენია, ისინი ვერ აიტანენ უველა ტოტების და ფოთლების სამყოფს წვენს და ამისთვის ხე თან-და-თან გახმება.

ამოთხრილი ხე ისევ იმისთანა მიწაზე უნდა დარგა, როგორზედაც იზდებოდა. იმავე სიღრმეზე უნდა ჩაფლა და იმგვარადვე უნდა მოუმართო ფესვები, როგორც წინად ჰქონდა. დარგვის შემდეგ ფესვებზე მიწა უნდა დატკეპნო, რომ ფესვებს როგორც რიგია ისე შემოადგეს მიწა და მერე უნდა მოირწყოს.

* * *

მარტში აგრეხებენ ფრინველებს, გოჭებს მოაშორებენ დედებს, კოდვენ იმათ, რომელნიც ტახებად არ უნდათ და იმათაც კოდვენ რომელნიც გასასუქებლად უნდათ. დილაობით სანამდის საქონელს ბალახზე გამორეკდენ, ცოტა ხმელს საკვებს აჭმევენ, რომ უჩვევმა ნედლმა საკვებმა არ აწყინოს და სატკივარი რამე არ შეჰყაროს. მარტშივე აძლევენ მომეტებულს თაფლს იმ სკებს, რომელნიც ძალიან დასუსტებულნი არიან ზამთრისგან.

ა პ რ ი ლ ი

მინდვრის მცენარეებში აპრილში სთესვენ სიმინდს, ჭვარხალს, ფეტვს, სელს, თამბაქოს და მუნიან კარტოფილს. აგრეთვე სთესვენ იონჯას და კოლინდარს რომელსამე ხორბლის თესლთან. ეს უკანასკნელი ბალახი კირიან მიწაზე ძალიან კარგათ ხარობს, რომელზედაც იონჯა სულ არ მოვა. კარგი იქნება, რომ ჩვენში სცდიდენ ამ მცენარის მოყვანას, რადგან ის მქისიან ნიადაგზე ძალიან კარგათ ხარობს, და ჩინებულად იტანს გოლვას, ამასთანავე იმისგან უფრო ადვილათ შეიძლება თივის კრეფა, ვინემც იონჯისგან. ის უფრო ნოყიერი საზდოა საქონლისათვის და არც უბერავს ხოლმე სტომაქს საქონელს, როგორც იონჯა უბერებს ხოლმე.

ამ დღიურს მიწას (კალინდრის) ესპარცეტის თესლი უნდება ექვსი ფუთი, სამი-ოთხი წლის განმავლობაში ის ყოველს წლიწადს იძლევა ას ფუთიდგან ორას ორმოცდა ათ ფუთამდის ხმელს თივასა. შემდეგ ამისა სადაც ესპარცეტი ეთესა, იქ ყანები მშვენიერ საბალახოებად გადაიქცევიან.

* * *

მცენარით ნათეს ყანებზე გაფანტავენ ფიჩხებს და მერე მორწყვენ, თუ ყანა გორაზე არ არის. ფიჩხების კარგი ზედ მოქმედება სერებრაკოვის აზრით, რომელსაც კარგათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა ჩვენი მხარე შესწავლილი, იმაში მდგომარეობს, რომ ნამს უნახავს მიწას და გოლვას ისე აღარ აგრძნობინებს ჩვენს სახნავ სათესს მიწებს.

* * *

ბოსტანში განაგრძელებენ მუშაობას, რაც წინა თვეში გამოუწყიათ და რადგან დამვრისა, მოწვისა, აღარ ეშინიათ, ამისთვის სთესვენ ყოველნაირს ბოსტნეულს, რწყვენ ამოსულს თესლებს და ათხელებენ ძალიან სქლათ ამოსულს მცენარეებს. თუ ძალიან აჭერს სიცხე, ახალ ამოსულს ბოსტნეულობას უჩრდილებენ, რომ მზემ უდროოთ არ დასწვას, ან არ დაგვალოს. რწყვენ ხოლმე დილაობით. რომ დამით მომეტებულმა სინამემ არ აწყინოს, ლობიოს და მუხუდოს წვერებს სჭრიან, რომ ადრიანათ გამოიღონ ნაყოფი გადარგვენ წითელს თავ-შეხვეულს კაპუსტას აგრეთვე კვლებზე გადარგვენ სახამთრო შენობებში დათესილს კატრეპს. მალ-მალ უნდა თესო ის მცენარეები, რომელნიც ჩქარა მოილევიან, მაგალითად, თვის ბოლოკი თალგამი, სალათა, მუხუდო და სხვ., რომ მეოჯახეს უცბათ არ შემოაკლდეს.

(შემდეგი იქნება).

## რაზე უნდა მივბაძოთ გერმანიელებს მეურნეობაში

გერმანიაში მუშები ძრიელ მომთმენი შრომის მოყვარე და ხვნა-თესვის მიმყოლნი არიან.

რომ ნემცები საზოგადოთ შრომის მოყვარენი არიან, ამაში ეჭვი არარის. გადახედოთ იქაურ ბუნებას: იქაურ მთებს, ქვიშიან ადგილებს, ჭაობებს, სადაც ძრიელ ბევრია სხვა-და-სხვა ნაირი სასარგებლო და მდიდარი მცენარეები, იქაურს ტყეებს და მინდვრებს, — და თითოეული ჩვენგანი ცხადათ დაინახავს მას, თუ როგორ უნდა ებრძოლა კაცს სხვა-და-სხვა ბუნებითი მოვლინებებთან, რომ ის წარმატებაში წარსულიყო და თავის მატერიალური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. ისეთი გაწმენდილია გერმანიაში სახნავი მიწები, როგორც სარკე; თქვენ იქ ვერ ნახავთ ქვებს, რომლებზედაც ჩვენს სამშობლო მხარეში ძრიელ ხშირად მიიფშვნიტებიან ხოლმე გუთნები, ცელები და ნამგლები, რომლებსაც ჩვენებური გუთნის-დედები ხშირათ ფეხს წამოსდებენ და საცოდავათ დაიღრიჯებიან ხოლმე. უნდა ნახოთ, რა რიგათ და რა წესით იხვნებიან იქ მინდვრები, როგორ გადმოდის ბელტი-ბელტზე და როგორ ეწყობიან ერთმანეთზე!... რომ ნახოთ ხნული, მიწები, გეგონებათ ქსელი და არა მინდვრები. ეს არაფერი,-ახლა თითონ მუშებს დავაკვირდეთ: ჩვენში თუ მათრახით ისაულებივით თავს არ ადგანან და თითო საათში თითო მაინც კარგი არ უსართეს ბეჭებში, ნუ გგონიათ, რომ გააკეთონ რამე; იქ (გერმანიაში) ეს არ არის: იქაური მუშები როგორც კარგი მოხელენი და მხატვრები თავჩაღუნულნი და მართლათ საქმეში ჩანთქმულნი დაუბრკოლებლივ ნელ-ნელა, მაგრამ დიდის ხალისით, მუშაობენ. რომ წაუსწროთ რამე, ისინი ამ სამუშაოს პატრონზე უფრო ძრიელ დაღონდებიან. ესეთია გერმანიაში მუშა; ახლა მამულის პატრონებს მივაქციოთ ყურადღება: ისინი ყველაზე ადრე დგებიან, და ყველაზე გვიან წვებიან, მაგრამ ჯანით და სიმრთელით ყოველთვის სჯობიან ჩვენს ლუარსაბ თავთქარიძეებს. იმათ წინათვე იციან სამუშაო იარაღის და ცხოვლების მდგომარეობა, იმათ მამულებში ერთი ბეწო ადგილსაც ვერ ნახავთ, რომლის თვისებაც იმათ შესწავლილი არა ჰქონდეთ, ესე იგი, იმათ კარგათ და საფუძვლიანათ იციან, რომელ ადგილზე, როდის და რა იყო დათესილი, როგორი მოვლა მოუნდა და როგორ იყო დასაჩუქრებული იმ ადგილებიდგან. შენცი არ გეგონოს, მკითხველო, რომ თითოს მათგანს ორი სამი დღის მამულის მეტი არა ჰქონდეს, არა, თითოეული მათგანი ათასი დღიურის და კიდევ მეტის პატრონი არის.

* * *

«აბა ჩვენშიაც იყოს იმისთანა მუშა ხალხი, როგორიც გერმანიაშია და ნახავთ თუ ჩვენი მინდვრები ნემცების მინდვრებს არ დაგამჯობინოთ,-ჩვენ ცუდლუტ გლეხებთან რას გაარიგებ!» ეს ძრიელ ხშირათ ისმის ჩვენებური დოინჯ შემოყრილი მამულის პატრონებისგან. «ინებეთ, ჩემო ბატონებო—მიუგებს მათ გამოცდილება—» ინებეთ ნემეცური მუშები და ვნახოთ რასაიქთ და როგორ დაამტკიცებთ, მაგ-თავის გასამართლებლათ მოყვანილს საბუთს—«აბა—აქ კიდევ სხვასაც მოიმიზეზებენ რასმე და გვეტყვიან—» აბა მოგვეცით ისეთი გუთნები და ცხენები, როგორიც იქ არიან, მოგვეცით იმტოლი ფულები, რომ კარგი საქონლით და შენობებით მოვეწყოთ და – ერთის სიტყვით—ყველა ნაკლულევანება დავაკმაყოფილოთ და». ....ვითომ ენაზე ჭკვალი მოედოთ თუ? ვინ იცის რას არ მოგთხოვენ? იქაური ჰავის გადმოტანაც არ მოგთხოვონ, თორემ სხვას ვინლა ჩივის. მაგრამ, გარწმუნებ, მკითხველო, ამ პირობების აღსრულება მართლაც რომ შევიძლოთ, მაინც კიდევ ქართველი თავის უზრუნველობით და მოუხაზრებლობით ვერას გააწყობს. შეიძლება დაიყოს ცოტა-ცოტათ ღოღიალება, მაგრამ რა გამოვიდა, თუ კი ბოლოს არ გაატანს? შეუძლებელია იმან ბოლო რასმე გაატანოს და თუ კიდევ მოუხდა და როგორმე შუაზე არ უშვა ხელიდგან საქმე, მაინც და მაინც ისე წაიყვანს, რომ ორი-სამი წლის შემდეგ სრულებით ვეღარა გაიგოსრა იმ საქმისა. ვინც რამდენათმე დაჰკვირებია ჩვენი ცხოვრების მსვლელობას, ის უეჭველია ბევრს მაგალითს ჰნახავდა ამის დასამტკიცებლათ და იმედი გვაქვს თანახმა იყოს ჩვენთან.

* * *

არა, სწორეთ, ტყუილი თავის მართლებაა ესა, ათი-ათასობით რო გადმოვრეკოთ ნემცები, მაინც ისინი ყველაფრის გაკეთებას ვერ შეგვეწევიან, ისინი მხოლოდ მუშები რომ გვაკლდეს, იმათ რიცხვს შეავსებენ და საქმეს სრულებით არ შეაჩერებენ,—სხვას ჩვენ ისინი ვერას გვიშველიან. ვითომც ჩვენი ხვნა-თესვა იმათ წინ წასწიონ?—ამაო ფიქრია? ჩვენი ხვნა-თესვის წარმატება მაშინ, მხოლოდ მაშინ შეეძლებათ, როდესაც საფუძვლიანათ ჩვენი სამშობლოს თვისებები და სხვა-და-სხვა მოვლინებები ეცოდინებათ და განმგეობითი ფულება ექნებათ ხელში. უამისოთ იმათ არაფერი არ შეუძლიანთ და, მაშასადამე, ხვნა-თესვაშიაც ვერაფერს ცვლილებას ვერ მოახდენენ. უფრო უნდა გვეშინოდეს, იმათ ცოდვაში არ ჩავდგეთ და ისინიც აქ ჩვენსავით უზრუნველობას არ მიეცნენ და შრომაზე გული არ აიცრუონ.

ესეთია ჩვენი ხვედრი, ჩემო საყვარელო მკითხველო!

* * *

ჯერ უნდა ადრე ადგომა და გვიან დაწოლა ვისწავლოთ, უნდა შევიყვაროთ ხვნა-თესვა ისე როგორც ნემცებს უყვართ, იმავე ნემცებისგან უნდა საფუძვლიანათ ვისწავლოთ მიწის მოვლა, ერთის სიტყვით ჯერ ისეთი შრომის მოყვარენი უნდა გავხდეთ, როგორებიც ნემცები არიან და მაშინ უეჭველია საქმესაც წინ წავწევთ და ფულებსაც ბევრს ვიშოვნით. ჭეშმარიტია ის აზრი, რომ ჩვენი მუშა ხალხი ისეთი საქმის ერთგულები არ არიან, როგორიც გერმანიელები ჩვენებურ მუშებს პატრონი თუ სულ თავს არ ადგას, უეჭველია იცუღლუტებს, ეს იქიდგან წარმოსდგება, რომ შრომა სრულებით არ უყვართ.

* * *

ყველა მამულის მქონე კაცი უნდა იყოს მომთმენი, აუჩქარებელი და გაუტაცებელის ხასიათისა,-ეს ძრიელ საჭირო პირობებია. უეჭველია უნდა იცოდეს მკითხველმა გამოცდილებით, რომ საგნის ყოველ მხრივ გასარკვევლათ საჭიროა სულის სიმშვიდე დროების განმავლობა და მოთმინება; ისიც იცის მკითხველმა, რომ სულის სიმშვიდე აუჩქარებლობისაგან და მოთმინებიდგან წარმოსდგება, მაშასადამე, ცხადია, რომ აუჩქარებლობა და მოთმინება ყოველ საქმეში უსაჭიროესი პირობები არიან. მეურნეობა, სადაც კაცს დიდი ბრძოლა უნდა ბუნებითი მოვლინებებთან და სხვა-და-სხვა შემთხვევებთან, დიდს მოფიქრებას და მოსაზრებას თხოულობს. ჩვენ ვიცით, რომ ერთბაშათ არაფერი არ კეთდება, ყველაფერს, ცოტა თუ ბევრი, დროება უნდება, მაგალ. მივხედოთ მინდვრებში მცენარეებს, რამდენი თვე გაივლის ხოლმე, მინამ ისინი გაიზრდებიან? ეგრეთვე პირუტყვების გაზდაში რამდენი წელიწადი გადის? თუ გინდ ტყე და ბაღეულობა ავიღოთ—მინამ ისინი გაშენდებიან, რამდენს ჩოხას გასცვეთ, ჩემო მკითხველო? აქედგან ცხადათ სჩანს, რომ მეურნეობის მიმყოლი პირებისგან თითონ საქმე ითხოვს მოთმინებას. ზევით ვსთქვით, რომ ნემცები ძრიელ მომთმენი ხალხია, ამაში ჩვენ არა ვცდებით; კიდეც ეს თვისება აყვავებს ისე გერმანიაში მეურნეობას. ნემეცი მუშაობის დროს თავის დღეში არ აჩქარდება და რომ წაუხდეს რამე ჩვენი ქართველივით კი არ გადირევა და სულის მყოფობას დაჰკარგავს! ის ამას სრულებითაც არაფრათ არ შეიმჩნევს და ყოველგვარს ღონის ძიებას ისმარებს, რომ ისევ გაასწოროს ის საქმე. რაც უნდა მძიმე საქმე იყოს ის იმას თავს არ დაანებებს ვიდრემდის არ შეასრულებს და თუ დარწმუნდა, რომ იმის გაკეთება შეუძლებელია, მაშინ კი რასაკვირველია ის ცუდ უბრალოთ ზედ არ შეაკვდება. გაოცდებით ნემცების ხვნას რომ უყუროთ! თითქო სიცოცხლე ეზარებაო, ნელ-ნელა მისდევს გუთანს, მაგრამ ძრიელ ბევრს და კარგათაც სნავს; ეს იქიდგან წარმოსდგება, რომ ის სულ გაუწყვეტილ ხნავს, არც თითონ ილალება, არც პირუტყვებს ჰღლის, არც სახნავი იარაღები უფუჭდება და იმათ გასწორებაში დროება არ ეკარგება. თითონ იქაურ ნემცებს უთქვამთ ჩემთვის, რომ ჩვენში არავის შეუძლიან ან ძალიან აჩქაროს მუშაობის დროს პირუტყვებიო და ან ხელი დააწოსო—ამაზე ჯარიმა არის დადებულიო. განმგეობით საქმეშიაც ესეთივე წყნარი და მოთმინების მქონე ხალხია ნემცები. იმათ ვაჭრობას, რომ უყუროთ გაშტერდებით! ვსთქვათ ახალი რამე ან რისამე იარაღები, ან მაშინა შეხვდა ნემეცს, ის ჯერ კარგათ გასჩხრეკს, მერე გამოჰკითხავს პატრონს სად და ვის აქვს ესეთი იარაღი, ამასაც რომ შეიტყობს, წავა იქ, საითაც გაასწავლიან და იქ დაწვრილებით გამოიკვლევს იმ მაშინის ვითარებას,—ზოგი მუშასაც მიიყვანს, რომ შეიტყოს შეუძლიან იმას იმ იარაღის მოხმარება, თუ არა? მერე იყიდის და ვითომ თავის დღეშიდა ინანოს იმის ყიდვა თუ?

* * *

ქართველი ესეთი არ არის: ის ან სულ უზრუნველობაში ატარებს თავის სიცოცხლეს, ან, თუ მოუსდა როგორმე და მიაქცია რასმე ყურადღება, გატაცებული და მოუთმენელი ხდება. ჯერ არაფრის მოპოებას შეუდგება და თუკი როგორმე შეუდგა, ის ერთბაშათ შეალევს თავის ძალას. მაგრამ რა გამოვიდა? თუ ცოტა რამ დამაბრკოლებელი ნახა, მაშინვე ხელს უშვებს. აი, რისაგან წარმოსდგება, რომ ერთი ქარხანაც არ არის ქართველების ხელში, ან თუ არის სადმე, უეჭველია ისიც დაცარიელებული იქნება და თითონ პატრონიც ჯიბე ცარიელი დაედინება. ამას სულ მოუთმინობა და სულ წრაფობა გვიშვრება. რამტოლი მაგალითი ყოფილა, რომ ქართველს კაცს თავის მეზობლისთვის თვალი მიუგია, ისაც შესძგომია იმ ჯიშის პირუტყვების, გაჩენას, რომლებიც მეზობლებსკი ჰყოლია და იმასკი არა, კიდეც გაუჩენია, მაგრამ ან ჭირს ან სხვა რამე შემთხვევას თუ ერთი ბეწო ზიანი მიუცია, მაშინვე მოთმინებიდგან გამოსულა და თავისა და ბედის წყევა დაუწყვია რათ გავიჩინეო; არამც თუ თითონ აღარ ცდილა იმის ყოლას, სხვისთვისაც დაუშლია იმის გაჩენა. ეს ის მაგალითათ მოვიყვანეთ, თორემ ქართველი კაცი ყოველგვარ საქმეში ესეთია, ზოგჯერ თუ წაუხდა რამ იმის მაგიერათ, რომ გაასწოროს წახდენილი, ჯავრობას და ლანძღვა—გინებას მოჰყვება.

---

# ყრმის აღზრდაზე.

## მესამე წიგნი

თქვენა მწერთ, რომ ზაფხულში გინდათ ხშირათ გუავდეთ თქვენი მიტო სუფთა ჭაერზე და მისთვის ატარებთ იმას გამდლით მეიდნებზე და ბაღებში, სადაც შეიყრებიან ხოლმე სხვის ყმაწვილებიცა. ძალიან კარგი; მაგრამ გთხოვთ, ჯერ თქვენ გაშინჯოთ ის ალაგები, სადაც დადიან გამდლები ყმაწვილებითა. იქ ნახავთ თქვენ მრავალს შემაწუხებელს მოქმედებას და ძრიელ ცოტას კარგსა. მე გავშინჯე ის ბავშვების სანავარდო ალაგები და დავრწმუნდი, რომ იქ დროების გატარებას ყმაწვილებისათვის მოაქვს სიამოვნების მაგიერათ ბევრი მწუხარება და ვნებაცა. აი, მაგალითად, ზის პატარა ბიჭი თავის პაწაწინა ურემში და მზე თვალებში უჩხვლიტინებს. იმას ყურს არავინ უგდებს. იმას გასერნება უნდა, ფეხებს ათამაშებს, მაგრამ გამდელს არ გადმოჰყავს. არ გადმოჰყავს იმიტომ, რომ ეს იმას დაუშლის ამხანაგებთან ლაპარაკსა. თავის ურემში ჩუმათ ზის, აქ არც წაქცევაა საშიში და არც ტანისამოსს გაისვრის. მაგრამ ყმაწვილს მოსწყინდა ასე ჯდომა და დაიწყო მაღლა ღრიალი. გამდელი გაცეცხლებული, ლაპარაკის გაწყვეტისთვის, მაგარ ყმაწვილს და

დაუწყოს უშვიერი პირით წყევლა და გინება. პირველ ამ შემთხვევაში მუჯლუგუნებსაც არ დაიშურებს. უმაწვილები აქ სწავლობენ გინებას და საძაგელ სიტყვებს. მშობლებს კი უკვირთ, თუ სად გაიგონეს ამისთანა საძაგლობაო, თითქო სახლში ამისთანები არა ისმის რაო და მაშინვე უმაწვილს ბუნებითს მიდრეკილებას მიაწერენ.

არიან კიდევ მეორე გვარი გამდლები, რომელნიც ბავშვებს აშინებენ ბაბაებით, და იმით აჩუმებენ, ესენი უფრო საშიშნი არიან, სანამ პირველნი, ამიტომ რომ უმაწვილი ცემასაც და გინებასაც დაივიწყებს და შიში კი სდევს იმას დღეც და ღამეც.

მესამე გვარნი გამდელნი, (უკეთესნი), უმაწვილს უმოძრაოთ არ აყენებენ, ისინი აძლევენ იმას სხვა უმაწვილებთან თამაშობის ნებას. მაგრამ, რადგან უმაწვილები თამაშობაში ხშირათ ჩხუბობენ, და იმათი არყევენ გამდლების მოსვენებას, ისინიც არ დარჩებიან ხოლმე უცემრათა. უმაწვილები უსამართლოთ დასჯას მრიელ გრძნობენ და თუ ამ გვარათ უსაფუძლოთ დასჯას ხშირათ მიადგებათ ხოლმე თავისის გაუზდელი გამდელისაგან, ისინი იმულებენ ჯერ იმას, მერე სხვებსაც. ერთი სიტყვით ისინი ცუდის მოპყრობით კერპდებიან და ავდებიან კიდეცა.

ასე, საიმედო გამდლები არ არიან; თქვენ კი ხშირათ დაგჭირდებათ თანაშემწე აღზრდაში, რა უნდა ქნათ? მკითხავთ თქვენა. ამ გაჭირებიდგან გამოსასვლელი უმჯობესი საშუალება ეს არის: მ ო ა მ ზ ა დ ე თ თ ქ ვ ე ნ თ ი თ ო ნ გ ა მ დ ე ლ ი თ ქ ვ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს. ნუ გეგონებათ, რომ ეს მრიელ ძნელი იყოს, თუ მეტადრე დაიჭერთ გამოცდილი ხნიანი დედაკაცის მაგიერათ უმაწვილ მხიარულ გოგოს, (მეტადრე თუ კი შეიძლება), ახლოთ შკოლიდგან გამოსულს. ხნიან დედაკაცს, მეტადრე გლეხის ცოლს, ძნელათ შეაგონებს კაცი რასმე, იმას კიდეც გაუკვირდება, რომ თქვენ, უმაწვილმა ქალმა, იმას უმაწვილის გაზრდა ასწავლოთ. უმაწვილი გოგო კი მალე მიხვდება ყველაფერსა. ეს უფრო კაი გონებისა და ხასიათისაა, ბავშვის გულითადი თანაგრძნობაც უფრო აქვს, იმიტომ, რომ თითონაც არ არის დიდი ხანი, რაც, ბავშვობიდგან გამოვიდა. ჯერ, სანამ მიანდობდეთ იმას თქვენ მიტოს, თქვენ სახლში იყოლიეთ. მიახედოს, მოახედოს დაინახოს თქვენი მოვლა უმაწვილისა, თქვენი ალერსი და დარწმუნდებით, რომ ის მალე მიხვდება ყველას თუ მეტადრე ადამიანურათ მოეპყრობით იმას, და ისე უყურებთ, როგორც თქვენ შეგირდს, როგორც თქვენს მიტოს ამხანაგს, და არა ისე როგორც სხვა მოსამსახურეებს.

უნდა გახსოვდეთ ისა, რომ იმას დიდ საქმეს აბარებთ, ის უნდა იყოს თანაშემწე თქვენი შვილის აღზრდაში. თუ ამ გვარათ კარგათ წაიყვანთ თქვენ საქმეს და გოგოს ამორჩევაში არ მოსტყუვდებით, ნახავთ, რომ თქვენი მიტო იმასთანაც ისე სიამოვნებით გაატარებს დროსა, როგორათაც თქვენთან. პირველათ, მარტო სახლში მიეცით ნება გოგოს უმაწვილთან ყოფნისა, მერე გარეთაც გაატანეთ, მხოლოდ ახლო გაცალკევებულ ალაგას. თქვენი მიტო ჯერ პატარაა და ამიტომ მაგისთვის ამ ხნებში ამხანაგები საჭიროები არ არიან. ამასთანავე თქვენც შეგიძლიანთ ხანდისხან დაათვალიეროთ, როგორ, ან სად სიამოვნებს თქვენი შვილი.

რამდენიც მხიარულათ და დაუზარელად გამოელაპარაკებით მიტოს, იმდენი ეგეც ეცდება ლაპარაკსა რა სასიამოვნო და საბედნიერია დედისთვის ეს პირველი ჭიკჭიკი და რომელიმე სიტყვის გამოთქმის მეცადინებაო! ეს ჭიკჭიკი აჯილდოებს დედის ამაგს და ჯაფას. ამ ხანში ბავშვის ოთახი სასუფეველია, აქ ივიწყებენ მშობლები დიდ მწუხარებას, უბედურებას და კაცის სხვა და სხვა საძაგლობას, არაოდეს უმაწვილს ენის მოჩლუნგებით არ უნდა ელაპარაკოთ. რაც ნივთი აჩვენოთ, ყველას ნამდვილი სახელი უწოდეთ.

არ ვიცი, თქვენმა მიტომ იცის ჯდომა თუ არა? თუ არ იცის ნუ ეცდებით მალათი შეაჩვიოთ, მაგითი შეგიძლიანთ გაუსწორებელი ვნება მისცეთ მაგასა. დეე, იწვეს რამდენი ხანიც უნდა. როდესაც სამყოფი ღონე მიეცემა თითონ წამოჯდება, დადგება, გაივლის კიდეცა მებელზე ხელის მოკიდებითა. თქვენთვის კი სულ ერთია, ორს თუ სამის კვირის შემდეგ გაივლის.

კიდევ მკითხავთ თქვენა, ჯერ უნდა მიტოს სათამაშოები, თუ არა? არა ჯერ ნუ მისცემთ. ეხლა მაგისთვის მთელი ქვეყანა სათამაშოა, მებელი ოთახში, ხალხი, იმათი მოძრაობა და მოქმედება, ეკიპაჟი ქუჩაში მიმავალი, პირუტყვები და სხ., სულ ყველა საგანი უკვირს მაგასა, ყოველიფერი აცხოველებს მაგის გონებასა. ახლა დრო აქვს მიტოს შეაჩვიოთ თავისუფლათ თამაშობასა, თქვენსავე კი ახლოს და თქვენ მფარველობასა ქვეშ.—აი, მაგალითს გიამბობთ, თუ როგორ ართობდა თავის შვილს ღარიბი მუშის ცოლი. მოვიდოდა სადილობის დრო. იმას თითონ უნდა მოემზადებინა სადილი, რადგანაც შეუძლებობისა-გამო, მოსამსახურის დაჭერა არ შეეძლო, და შვილის აღზრდის გარდა სხვა სამწუხაროც ბევრი აქვს. ეს გაშლიდა ხოლმე საბანს ალაგზე, ზედ უმაწვილს დასვამდა და თითონ მეურნეობას დაიწყებდა, უმაწვილს კი უჩვენებდა ყოველს თავის მოქმედებას. «აი, შვილო, ეტყოდა, მე ბუხარში შეშას შევაწყობ, ხედავ რამოდენები არიან, როგორ აბრახუნებენ. ახლა ცეცხლს მოუკიდებ. ქვაბში წყალ ჩავას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ..., ყური მიუგდე, როგორ შხუის წყალი, ახლა წყალში გართობილს ჩავური, ერთს შენც მოგცემ და სხ. ასე, დედა საქმობდა და შვილი ამის მოძრაობის ყურებით, ამის ლაპარაკის ყურის გდებით გართული იყო და თავის სიამოვნებას ჭყივილით და სიცილით აცხადებდა. რადა თქმა უნდა, რომ განათლებული დედა უფრო ადვილად გაართობს თავის შვილს. ამისთვის საჭიროა იცოდეს კაცმა, როგორ ელაპარაკოს უმაწვილს. ამას ყოველთვის იმ საგნებზე უნდა ელაპარაკოთ, რასაც ხედავს და რაც ესმის.

მე ზემოთა ვთქვი, რომ უმაწვილის გონება იხსნება გრძნობიანი შთაგონებისა გამო და თუ ამისი გარეთადი გრძნობა ყოველთვის გართულია, ამას გონებაც მალე გაეხსნება. ამისათვის ამას არ ესაჭიროება სხვა და სხვა სათამაშოები, მიეცით თუ გინდ ჩაის კოვზი. როგორ გაიხარის უმაწვილმა! მოჰყვება ჭყავილს, ბრახუნს, აკრიალებს, ყოველსავე მხარეს გაუშინჯავს და მერე პირშიაც ჩაიდებს. რისთვის? ამ ტომ, რომ უნდა შეიტყოს ყოვლივე მხარე ნივთისა. მოზრდილი უმაწვილები ბევრჯელ ამტვრევენ ხოლმე სათამაშოებს შესატყობლად, შიგნიდგან ხომ სხვა ნაირად არ არის აშენებულიო, ან შიგ ხომ არ სდევს რაო. უმაწვილი ბუნებითვე მოყვარულია სწავლისა და გამოცდილებისა და ამისათვის უნდა ვეცადნეთ ჩვენც, რომ ეს კეთილი ნიჭიერებანი გავუხსნათ იმასა. ყური კი უნდა უგდოთ, რომ გამოსაცდელად არ დაამტვრიოს, რაც ხელქვეშ მოხვდება. გამდლები და ბევრჯელ დედებიც უმაწვილს აძლევენ ნებას დაამტვრიოს და გადაყაროს, რაც კი ხელში მოხვდება, აწეწინებენ იმასა, თავში აცემინებენ და ვითომ ტირიან კიდეცა. ამ გვარად უმაწვილის გართობა შეიძლება მთელ პატარაობის დროსა და არა იმ უმაწვილისა, რომელმაც დაიწყო ცოტაც არის აზრიანი ცხოვრება. ეს ამისათვის არ არის კარგი, რომ უმაწვილი ეჩვევა მტვრევას, ცემას და ხალხის შეუბრალებლობას. არც ის არის კარგი, რომ უმაწვილი რასაც სათამაშოს ხელში აიღებს, მაშინვე გადააგდებს გაუშინჯავათ. დედა ყოველთვის უნდა ეცადოს გადააჩვიოს ამ ცუდ ჩვეულებასა და ის ხომ უფრო კარგი იქნება, რომ თავიდგანვე აცილოს უმაწვილს ეს ჩვეულება. ეს წარმოსდგება იქიდგან, რომ ბევრს სათამაშოებს ერთად მიაყრიან უმაწვილსა. სათამაშოთ უმაწვილს არას დროს არ უნდა მისცეთ რამდენიმე სათამაშო ერთად. ჯერ ერთი გაშინჯოს, მოითამაშოს, მერე მიეცით მეორე და სხვ. ერთი სიტყვით ბავშვის თამაშობას და ლაპარაკს დიდი მოხერხება უნდა. და თუმცა ბევრჯელ ეს მოხერხება ძნელი იქნება თქვენთვის, მაგრამ ის უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი მიტოსთვის კი იქნება სასიამოვნო და სასარგებლო. გათავების დროს უნდა მოაგონოთ კიდევა, რომ ყოველთვის, მიტოს თამაშობის და ლაპარაკის დროს, გამდელიც იქ უნდა იყოს. ეს მოუტანს იმათ, ორთავეს შემდეგში დიდ სარგებლობას.

## წიგნი მეოთხე.

თქვენა მწერთ, რომ თქვენი მიტო ცოტ-ცოტას დადის, ლაპარაკობს და თითქმის სუყველაფერი ესმის რასაც კი ილაპარაკებთ. ეგენი, მართლაც, დიდი წასწრებანი არიან და ვგრძნობ, როგორ გახარებული იქნებით, თუმცა კი უნდა ვთქვა, რომ არა ყოველს დედას უხარის თავისის შვილისას პირველად თავისუფლად გადადგმული ნაბიჯი. «ეხლა დაიწყო ჩემი ტანჯვა», იტყვიან ისინი, «აქამდისინ ჩავაწვენდი, ან დავაგორებდი ალაგზე და გული მშვიდათ მქონდა, რომ არა დაუშავდებოდარაო, ეხლა კი სულ იმისა უნდა მეშინოდეს, რომ საცაა აიტეხს რასმეო.

ჭეშმარიტიც არის, ეხლა თქვენ მიტოს ბევრი მავნებელი შემთხვევები ექნება; ან წაიქცევა, ან მოირტყამს რასმე, ან დაიწვამს და სხ. ამ შემთხვევებს ყოველთვის დიდი ყვირილი და ტირილი მოჰყვება და ამისათვის უნდა დავიფაროთ მიტო ამ დიდი განსაცდელებისაგან, რომელნიც წარმოსდგებიან იმის მოუხერხებლობით. პატარა განსაცდელების სრულიად აცილება კი არ შეიძლება. თუ ცარიელ ოთახში დასვამთ, კედლებზე და ალაგზე დოშაკებს მააკრავთ, ეგ სხვა არის. მაგრამ გახსოვდეთ ისა, რომ სრულიად არ უნდა მოარიდოთ მიტო ზოგიერთ პატარა შემაწუხებელ შემთხვევებს, ამიტომ რომ მაგისათვისაც საჭიროა საკუთარი გამოცდილება. ეს ცოტასა, თქვენ თითონ უნდა მიაყვანოთ ხოლმე მიტო პატარა განსაცდელებზედა, თუ გინდათ რომ მიტომ თავის თავის გაფთხილება ისწავლოს. ამას აგიხსნით დაწვრილებით. შეიძლება მოხდეს ისე, რომ მიტო პატარა ხანს მარტო დარჩა ოთახში,—და საჭიროც არის მაგისათვის, რომ ცოტ ცოტათ შეეჩვიოს უსახოგადოთ ყოფნას. თუ ოთახში არის ცხელი, (მეტადრე რკინისა, ფეჩი, მიტო მივა იმასთან და შეიძლება მთელ დაიწვას ხელები. ორ ნაირად შეგიძლიანთ დაიხსნათ ამ შემთხვევიდგან თქვენი მიტო: ან უნდა ფეჩზე აუფაროთ რამე, რომ ახლოს ვერ მიეკაროს, ან არა და უნდა მიიყვანოთ უმაწვილი ახლოს ფეჩთან და აუხსნათ რა მნიშვნელობა აქვს იმასა. როგორ ეციებოდა უიმისოთ ოთახში, როგორ უფეჩობით საჭმელს ვერ მოხარშავდით სადილისთვის. «მაგრამ გაფთხილებული კი უნდა იყვეთ ამასთან» და ამასთანვე მიადებინეთ ხელი ფეჩზე, იმისთანა ალაგზე, საცა კი არ დაეწვას ხელი, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივილს კი იგრძნობს. ან მიიყვანეთ ახლო ბუხართან და ისე დააყენეთ, რომ ალმა პირდაპირ თვალებში უნათოს და სიცხეც იგრძნოს. მერე ქაღალდი ჩააგდეთ ცეცხლში და უთხარით: «თუ გაფთხილებული არ იქნება შეიძლება, რომ ისე დაიწვას შენი ტანისამოსი, ხელები და სხ. თუ ალი ძრიელ იქნება და მიტო იმის ძალას შეიტყობს, დარწმუნებული იყავით, რომ ის ბუხართან სუყოველთვის მორიდებული იქნება. მე მგონი დამეთანხმებით თქვენცა, რომ ამ გვარი მოხერხება საჯობია, ბუხარზე ათვარებასა და სხვაგვარ გაფთხილებასა. იქნება თქვენა სთქვათ, რომ ამ გვარს საგნებს მაშინ აუხსნით, როცა გონება უფრო გაეხსნებათ, ეგეც მართალია, მაგრამ კაი თუ მანამდისინ მაგას მწარე გამოცდილებამ აგრძნობინოს თუ რა საშიშია ბუხარი. ამგვარათვე შეგიძლიანთ აუხსნათ მაგას მოშიშრობა სამოვრისა და სხვა ცხელი ნივთებისა.

რაღა თქმა უნდა რომ, ყოველს საშიშრო ნივთებს მოარიდებთ, მაგალითად სპიჩკას, მაგრამ მაინც კიდევ უნდა აუხსნათ მიტოს იმის შიში, ამისათვის რომ შეიძლება შემთხვევით იპოვოს იმან სადმე სპიჩკა, და რადგანაც ყოველ დღე ხედავს, როგორც თქვენ ანთებთ ამას, ისიც ეცდება და წაიკიდებს რაშიმე. აანთეთ სპიჩკით რამდენიმე თაბახი ქაღალდი, იმაზე ისე ახლო, რომ ალმა ცოტათიც არის შეაშინოს, მერე აუხსენით სპიჩკის სარგო და უთხარით, რომ იმისთვის, პატარა გამოუცდელი ბიჭისათვის, სპიჩკა საშიშია და სხ. გარწმუნებთ, შემდეგ, როდესაც სპიჩკას იპოვნის სიხარულით თქვენკენ გამოარბენინებს.

რასაკვირველია მიტო ბევრჯელ იპოვნის ქინძისთავებს, ნემსებს, ლურსმნებს და სხვა მახვილიან ნივთებს, და თუ იპოვნის, უეჭველათ აიღებს კიდეც. უმაწვილებს ძრიელ უყვართ პაწაწინა ნივთების აკრეფა და მარჯვეთაც ჰკრეფენ თავისის მაცქა ხელებითა. რა უნდა ქმნას კაცმა? შეიძლება რომ ამითი იმან ივნოს რამე. ისევ ისა, აჩვენეთ მიტოს რომ ამ ნივთებით იმას შეუძლიან ძრიელ მაგრა იჩხვლიტოს. «თუ იპოვნი, მიტოჯან, ქინძისთავს, ან ნემსს, მაშინვე სანემსე ბალიშში ჩაარჭე და ძრიელ ნუ კი გამოიქცევი, თორემ წაიქცევი და უფრო ძრიელ იჩხვლეტ, მანამ ეს შენ გიჩხვლეტს. ამასთანავე ასწავლეთ კიდეცა, როგორ ჩაარჭოს ნემსი სანემსე ბალიშშია.

მე მინახამს ათი თვის უმაწვილი, რომელიც გლეჯდა ოთახის ყვავილების ფოთლებსა და თუ გაუჯავრდებოდნენ, მოჰყვებოდა ტირილს და ღრიალს, გადაჩვევად ამ ზნისა, იმას უჩხვლიტეს კაკტუსის ეკლითა და ამითი გადააჩვიეს. დიდის ღრეჯით მიიტანდა ყვავილებთან ხელსა, მაგრამ მოგლეჯას კი ვეღარ ბედავდა ხოლმე. ჩემის აზრით ამ გვარათ უმაწვილის გაფთხილება, უფრო სამჯობისოა, ვიდრე ყოველი ნივთის მიმალვა, ამისათვის რომ მიტოს შეუძლიან შემთხვევით იპოვოს რამე ნივთი და თავის თავს აუტეხოს რამე. ერთი სიტყვით ყოველთვის ეცადეთ გაამრავლოთ მიტოს გამოცდილება. მაგალითად: რომ არ მიეხალოს სტოლსა ან სხვა მებილსა, წინ და წინ ასწავლეთ, რომ სიარულის დროს ერთი ხელი მაგრა მოჰკიდოს სკამს ან დივანს, აჩვენეთ თქვენ თითონ როგორ უნდა მოჰკიდოს ხელი.

იქნება თქვენა სთქვათ, რომ მე ძრიელ დაწვრილებით ვლაპარაკობ ამ წვრილმან საგნებზედა; მაგრამ ჯერ ის უნდა ვსთქვა, რომ აღზრდაში წვრილმანობა სულ არ არის; და მეორეც ისა, რომ თუ მოიფიქრებთ, თქვენ თითონ დარწმუნდებით, რომ ამ დარიგების ასრულებით თქვენ ეწევით შემდეგ საგნებს: ა) თქვენ ავრცელებთ მიტოს გამოცდილებას, ე. ი. ცოდნას, ბ) თქვენ ასწავლით იმას თავის თავის გაფრთხილებას და ამითი იდვიმებს იმის გულში უშიშრობას და დაბეჯითებას თავის ღონეში. (მაგალითად: «მე არ მეშინიან, დედა, ბუხრისა არა? მე არ მივალ იმასთან, დედა, არა? ცეცხლი მე არ დამწვავს, დედა არა?» და სხ.) გ) თქვენ მოიპოვებთ სრულიად მიტოს დარწმუნებას თქვენზე. ის ხედავს, რომ ყველა თქვენი ნათქვამი არის ჭეშმარიტი, და თქვენ იმისთვის გსურთ ყოველი კეთილი. ამ გრძნობაზედ შენდება ბავშვის მშობლის მორჩილება და ამატომ ასრულებს მიტო ყოველ თქვენ ბრძანებას, თუნდ მიზეზიც რომ არ იცოდეს თქვენის ბრძანებისა, დასასრულს დ) უმაწვილი ყოველთვის გრძნობს, რომ იმისთვის ყოველთვის საჭიროა, როგორც თქვენი ყურისგდება, ეგრეთვე სხვა უფროსისაც. ის ნათლათ ხედავს, რომ იმას ბევრი არა შეუძლიან რა და დედას და გამდელს კი შეუძლიანთ. დარწმუნებით სხვის აუცილებელი შემწეობაში წარმოსდგება მადლობის მოთხოვნილებაც. ეცადეთ, რომ გამდელიც ამ გვარათ მოექცეს უმაწვილს, და თუ ფათერაკი შეემთხვევა რამე, — რომლის აცდენაც სრულიად არ შეიძლება, — მაშინ უნდა უთხრათ, რომ თითონ იყო დამნაშავე, თავის ბრალი იყო, რადგანაც იცის, როგორ უნდა გაუფთხილდეს თავსა ამ შემთხვევებში.

მოხუცებული გამდლები ამ შემთხვევებში წარმოსთქმენ ხოლმე: «ოხ, შე ოხერო სკამო, რათ ატკინე თავი ჩემ პატარა ვანოს; აჰა, შვილო, ჯოხი დაჰკარ მაგ საძაგელს, ეგრეასა ეგრე! უმაწვილი საბრალო მებილის გაწკეპლის შემდეგ მშვიდდება, ე. ი. უმშვიდდება დაკმაყოფილებული გ რ ძ ნ ო ბ ა შ უ რ ი ს გ ე ბ ი ს ა.

«კიდევ იტკინე, მიტო! კიდევ არ ასრულე

ესა და ესა?.. მოდი აქა, აი მე თავზე ხელს წაგისვამ, შეგიბერავ და მაშინვე მოგირჩება და ისევ სათამაშოთ გაიქეცი». და უფრო კარგი იქნება, რომ პატარა შემთხვევებში სრულიად ყური არ უგდოთ და გაართოთ ის სხვა საგანზე კითხვით, ან ლაპარაკით. ყმაწვილები ბევრჯელ დაცემის დროს მიიხედ-მოიხედამენ და თუ ოთახში არის ვინმე ტირილს დაიწყებენ. და თუ არავინ არის, ან თუ უცხოა ვინმე, ხმასაც არ ამოიღებენ. ისეც მოხდება ხოლმე: დაეცემა ყმაწვილი, არ ადგება, გდია ისე და აქეთ-იქით იყურება და თუ უთხარ, ვანო, ან ნიკო, ადექ! მაშინვე ტირილს მოყვება.

## ამხანაგობა ყოველთვის ვარგია.

ამას წინეთ გაზეთში «დროებაში» იყო დაბეჭდილი ერთი წერილი, რომელსაც აზრათ ჰქონდა საზოგადოებისთვის გამოეცხადებინა, თუ რამდენათ დაჩაგრულია წვრილი მოვაჭრეებისაგან და ქალაქის ბიჭ-ბუჭებისაგან სოფლელი კაცი, რომელსაც მოაქვს ქალაქში გასასყიდათ თავის ნაწარმოები. იმ წერილის ავტორი ამბობს:

«წარსულს კვირას მე იარმუკის მეიდანზედ ვშინჯავდი გასასყიდს წიგნებს. ვხედავ, ჩემს ცოტა მოშორებით დიდი არიაქოთია; მივედი შესატყობლათ იმ არიაქოთის მიზეზისა. აი, რა შევიტყე: სოფლელს კაცს ჩამოეტანა ქალაქში გასასყიდათ თავისი ჭირნახული გოდრებით; გაეყიდნა ზოგი და ცარიელი გოდრები დაეწყო თავის ახლო. იმის ახლო ქალაქელი მოვაჭრეები ყიდნენ ზოგი ახალ ხილს, ზოგი სემიჩკებს, ზოგი სპიჩკას და პაპიროსს. ერთი იმათგანის პატარა ძმას მოეპარა იმ გლეხი-კაცისთვის ორი გოდორი და ერთი საცალო. უკანასკნელის რიგთის მოპარვაზედ სოფლელმა კაცმა დაიჭირა ქურდი. მაშინ მიესცვივდნენ ახლო-მახლო მოვაჭრენი მოქალაქენი და ის პატარა ქურდი მალათ გააშვებინეს. ყველაზე ბევრი მონაწილეობა მიიღო იმ გაშვებაში ერთმა კინტომ, რომელიც ქურდის ძმა გამოჩნდა. გლეხი-კაცი მივიდა იმასთან და უთხრა:

— ან ის ქურდი მიპოვნე, ან შენ უნდა მიზღო ჩემი დანაკარგი.

კინტომ გალანძღა სოფლელი კაცი და კიდეც საცემლათ მიიწია. აქეთ-იქეთ მდგომარე მოვაჭრეთ და კინტოებმა უკვე ამ კინტოს მხარე მიიღეს და დაუწყეს საწყალ სოფლელს რცხვენა და ლანძღვა.

გლეხი-კაცი სრულებით გასტერდა.

— გოდრები და საცალოც მომპარეს, ეგენივე მლანძღვენ და ცემას მიქადიან.

გარდა იმისა, რომ გლეხი თავის სოფელში ამავე მოვაჭრეებისგან კისრამდის არის ვალში ჩაფლული, თუ როდისმე ქალაქში მოსვლა შეემთხვა ორიოდე კვერცხის, ან ქათმის, ან სხვა რაიმე ნაწარმოების გაყიდვა, იქაც ქალაქის ბიჭბუჭები გარშემო მგლებსავით შემოეხვევიან და ერთი რომ ევაჭრება, მეორე კალთიდგან ფულებს ან ჭურჭლებს პარავს. ამ სახით ყოვლის მხრით შევიწროებულს შემოხუთულს სოფლელს თან და თან უნაყოფოთ ეღუპება თავისი დრო და ძალა, თან და ან სასტიკდება და ან თვითონ შიმშილი ჰკლავს, ან შიმშილისაგან მოვლენილი ათას ნაირი ავათმყოფობა.

* *
*

ამისთანა გარემოებამ კიდევ უფრო ცხადათ უნდა აფიქრებინოს ჩვენს საზოგადოების მწარმოებელთ ამხანაგობის შედგენა. მთელს თფილისის გუბერნიაში, რომ თავად აზნაურობამ და გლეხობამ რომ ერთად შეჰკრან პირობა არამც და არამც ერთის პურის მარცვალსაც პირდაპირ არ მივყიდით მოვაჭრეებსო. ამ სახით თითო კანტორა ყოველს ქალაქში დაიჭირონ, მაგალითად: თფილისში, გორში სიღნახში, თელავში, სურამში და სხვ. მიზიდონ ამ საჭირო ადგილებზე თავის ჭირნახული და იქ კანტორაში დაყენებულმა კაცებმა ჰყიდონ სოფლიდგან მოტანილი და იქ დაგროვებული ნაწარმოები, მაშინ რა საკვირველია მთელი ვაჭრობა. იმას ვეღარ გაბედავდა, რასაც ახლა შვრება. ამ ჟამათ ვაჭარი გადის სოფელში და გაჭირებულს სოფლელისგან ერთს კოდს პურს ორ მანეთად შოულობს, მაშინ როდესაც საერო კანტორები, რომ ყოფილიყო და იქიდგან მარტო შესძლებოდა ვაჭარს ნამუშევრის ყიდვა, კოდს უკანასკნელი ექვს მანეთ ნაკლებ ვერ იშოვნიდა, ამ სახით ყოველს სოფლელს კანტორის ქირას გარდა და ჩატანის გარდა ნაღდი ხუთი მანეთი მაინც დარჩებოდა ხელში ორ მანეთის მაგიერათ.

* *
*

ყოველი სოფლელის ანგარიში კი სულ ადვილი იქნებოდა, ის ჩაიტანდა კანტორაში თავის ჭირნახულს და თავის კანტორის დახლიდარიდგან მიიღებდა პატარა ბარათს: ამა და ამ კაცმა შემოიტანა ამდენი და ამდენი ჭირნახული ტაქციით, ამდენი ფული ერგება; ნახევარს ფულს ახლა იღებს და ნახევარში წლის ბოლოს გაუსწორდებით. ამ სახით ყოველი სოფლელი, ახლა რომ წვრილმანი მოვაჭრეებისაგან შევიწროებულია, ამისგან თავს იხსნიდა და თავის ჭირნახულსაც უფრო სამართლიანათ გაჰყიდდა. ღმერთმან ჰქმნას, რომ ჩვენმა საზოგადოებამ, უფრო გონება გახსნილმა კაცებმა, მალე იტვირთონ ეს ყველასთვის სასარგებლო საქმე.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 іюля 1871 г დუბელირის. (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.